გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 132

2025 წლის 10 ოქტომბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ბურჯიანი“-ს (ს/ნ 417891650) შორის 2021 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

2021 წლის 28 სექტემბერს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ბურჯიანი“-ს (ს/ნ 417891650) შორის გაფორმდა სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3372 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 66.46.20.574.013; მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი, კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი N574, ნაკვეთი N013). აღნაგობის უფლების მქონეს ხელშეკრულების საგანი გადაეცა კომერციული დანიშნულების ობიექტის განსათავსებლად.

მითითებული აღნაგობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის მიხედვით, აღნაგობის უფლების მქონე პირი ვალდებულია:

ა) მიღებული ქონება გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანიშნულებით და დაიცვას ყველა მოთხოვნა;

ბ) მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს სულ ცოტა 500000 (ხუთასი ათასი) ლარის ინვესტიცია. 4 (ოთხი) წლის გასვლის შემდეგ, აღნაგობის უფლების მქონემ გორის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგინოს აუდიტის დასკვნა განხორციელებული ინვესტიციის ოდენობის შესახებ. აუდიტორის მომსახურების საზღაური გადაიხადოს აღნაგობის უფლების მქონემ;

გ) შენობა აშენდეს და დანიშნულებისამებრ დაიწყოს ფუნქციონირება 4 (ოთხი) წლის ვადაში.

დ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ობიექტზე დასაქმებული იყოს საქართველოს მოქალაქე, სულ ცოტა 35 პირი, რაც დადასტურდება სსიპ შემოსავლების სამსახურიდან წარმოდგენილი დოკუმენტით;

ე) მშენებლობის პროცესში, ყოველი მოჭრილი ხის ნაცვლად, მუნიციპალიტეტის მითითებულ ადგილზე დარგოს 3 (სამი) ვერცხლისფერი ნაძვის ხე.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია შპს „ბურჯიანი“-ს (ს/ნ 417891650) 2025 წლის 30 ივნისის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ კომპანიაში არსებული ფინანსური სირთულეების გამო, დათქმულ ვადაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა, დღეისთვის დაწყებული აქვთ სამუშაოები, რომლის დასასრულებლადაც ესაჭიროებათ დამატებითი ვადა. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადის გაგრძელებას 1 (ერთი) წლის ვადით, რაც, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ბურჯიანი"-ს (ს/ნ 417891650) შორის 2021 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - აღნაგობის უფლებით გადაცემულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მის: გორის მუნიციპალიტეტი, კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი N574, ნაკვეთი N013; ს/კ 66.46.20.574.013, ფართობით 3372 კვ.მ.) სულ ცოტა 500000 (ხუთასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელების და კომერციული დანიშნულების ობიექტის - შენობის აშენების და ფუნქციონირების დაწყების ვადად ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) წლის ვადის ნაცვლად ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ბურჯიანი"-ს (ს/ნ 417891650) შორის 2021 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - აღნაგობის უფლებით გადაცემულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მის: გორის მუნიციპალიტეტი, კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი N574, ნაკვეთი N013; ს/კ 66.46.20.574.013, ფართობით 3372 კვ.მ.) სულ ცოტა 500000 (ხუთასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელების და კომერციული დანიშნულების ობიექტის - შენობის აშენების და ფუნქციონირების დაწყების ვადად ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) წლის ვადის ნაცვლად ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**